

სორსე ლუის პორსესი

ბროდის ანგარიში

ესპანურიდან თარგმნა
ლანა კალანდიამ



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

ხორხე ლუის ბორხესი
ბროდის ანგარიში

Jorge Luis Borges
EL INFORME DE BRODIE

რედაქტორები
ელზა ახვლედიანი
ზვიად კვარაცხელია

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-458-73-6

EL INFORME DE BRODIE
Copyright 1995, María Kodama
All rights reserved

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2015.

შემაჯავრობი

ამბობენ (რაც, ძნელი სარწმუნოა), რომ ეს ამბავი თავად ედუარდ ნილსენმა მოჰყვა უფროსი ძმის, კრისტიანის ცხედართან ღამისთვის დროს. კრისტიანი ათას რვაას ოთმოცდაათ რომელიღაც წელს მორონის მახლობლად ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. სინამდვილეში, ვილაცამ ვილაციისგან მოისმინა იმ შორეულ, დაუსრულებელ ღამეს, მატეს¹ სმის დროს და სანტიაგო დაბოვეს მოუთხრო, ვისგანაც მე გავიგე. წლების შემდეგ, კიდევ ერთხელ მიამბეს ტურდერაში, სადაც ეს ამბავი მოხდა. მეორე ვერსია, უფრო დაწვრილებითი, სანტიაგოს ნამბობს ადასტურებდა – მცირეოდენი ვარიაციებითა და სახეცვლილებით, რაც ბუნებრივი ამბავია. ახლა მე ვწერ, რადგან თუ არ ვცდები, მასში, როგორც სარკეში, ისე აისახება სანაპიროს ძველი მცხოვრებლების ტრაგიკული ხასიათი. პატიოსნად აღვასრულებ, თუმცა წინასწარ ვიცი, ვერ გავუძლებ ლიტერატურულ ცდუნებას, რაღაცებს გავამძაფრებ ან წვრილმანებს დავამატებ.

¹ მატე – პარაგვაული ჩაი.

ტურდერაში ძმებს ნილსენებს ეძახდნენ. სამრევლოს მოძღვარმა მიაგმო, რა გაცეცხული იხსენებდა მისი წინამორბედი ნილსენების სახლში ნანახ გაცრეცილი ბიბლიას – შავ ყდაში ჩასმულსა და გოთური ნიშნებით მოხატულს, ბოლო გვერდებზე ხელით მიწერილი სახელები და თარიღებიც შეუნიშნავს. სახლში ეს ერთადერთი წიგნი იყო. ნილსენების ბედუკუღმართი ქრონიკა ისევე გაუჩინარდა, როგორც გაუჩინარდება სხვა ყველაფერი. სახლი უკვე აღარ არსებობს, შეუღესავი აგურის იყო, შემოსასვლელიდან ორი პატიო მოჩანდა – ერთი ფერადი ფილებით მოკირწყლული, მეორე – მიწისა. თუმცა იქ ცოტანი თუ შესულან. ნილსენები თავის მარტოობას იცავდნენ. გამოცარიელებულ სახლში უბრალო საწოლებზე იწვნენ, მათი ერთადერთი ფუფუნება ცხენი, ალკაზმულობა, მოკლეპირიანი დანა, შაბათის საზეიმო სამოსი და შფოთისამშლელი ალკოჰოლი იყო. გამიგონია, მალღები იყვნენ, ჟღალთმიანები. დანია ან ირლანდია, რომელთა შესახებაც ალბათ არასოდეს სმენიათ, ამ ორი კრეოლის სისხლში იყო. წითურებს უბანში უფრთხოდნენ. არ არის გამორიცხული, მათ კისერზე რომელიღაც მკვლელობა ყოფილიყო. პოლიციაში ერთხელ მხარდამხარ იჩხუბეს. ამბობენ, რომ უმცროსს ხუან იბერასთან მოუვიდა უსიამოვნება, საიდანაც არც თუ ისე ცუდად გამოძვრა, რაც, ამ საქმეში ჩახედულებს თუ დაეჯერება, თავისთავად ბევრს ნიშნავს. მეხრეები იყვნენ, ტყავს თრიმლავდნენ, საქონელს კლავდნენ და ხანდახან დაღავდნენ. ძუნწები ყოფილან, მხოლოდ სასმელი და თამაში აგულუხვებდათ. ნათესავების შესახებ არავის

არაფერი სმენია, არც ის, თუ საიდან მოვიდნენ. საზიდარი და ერთი ულელი ხარი ჰყავდათ.

ძმები გარეგნობით განსხვავდებოდნენ იმ მცხოვრებლებისგან, რომელთა დევნილმა წინაპარმაც იქაურობას მეტსახელად კოსტა ბრავა უწოდა. ეს და ყველაფერი, რაც არ ვიცით, ნათელს ჰფენს, თუ რა მტკიცედ იყვნენ შეკრულები. ერთ მათგანთან წაკიდება ორი მტრის გაჩენას ნიშნავდა.

ნილსენები მოარშეყები იყვნენ, მაგრამ მათი სასიყვარულო ამბები ჭიშკართან და საროსკიპოებში მთავრდებოდა. ამიტომ იქაურებს სალაპარაკო მიეცათ, როდესაც კრისტიანმა ხულიანა ბურგოსი თავის სახლში საცხოვრებლად მიიყვანა. მართალია, ამგვარად მოსამსახურე იშოვა, მაგრამ ისიც მართალია, რომ უბრალო სამკაულებით აავსო, რომლითაც ქალი წვეულებებზე თავს ინონებდა. სოფლის ღარიბულ დღესასწაულებზე, სადაც სხვის ქალებთან არშიყი მიღებული არ იყო, ჯერ კიდევ დღის სინათლეზე ცეკვავდნენ. ხულიანას მუქი კანი და ნუშისებრი თვალები ჰქონდა, საკმარისი იყო ვინმეს შეეხედა, მაშინვე გაიღიმებდა. მოკრძალებულ უბანში, სადაც შრომა და მოუვლელიობა ქალებს ნაადრევად აბერებს, არც თუ ცუდი შესახედაობით გამოირჩეოდა.

თავდაპირველად ედუარდო ყველგან თან ახლდათ. შემდეგ არესიფეში გაემგზავრა, არავინ იცის რა საქმეზე. სახლში ვიღაც გოგონა მოიყვანა, გზად წამოიყოლა, მაგრამ რამდენიმე დღეში გააგდო. მას შემდეგ უფრო მოიქუფრა, ფარდულში მარტო სვამდა, ყველას გაუბოდა. კრისტიანის ცოლზე იყო შეყვარებული. უბანი, რომელიც სავარაუდოდ,

ედუარდოზე ადრე მიხვდა ამ ამბავს, ბოროტი სიხარულით ელოდა ძმებს შორის გაჩენილი ქიშპის გაგრძელებას.

ერთ ღამეს შინ გვიან მობრუნებულმა ედუარდომ ღობეზე გამობმული კრისტიანის შავი ცხენი დაინახა. კრისტიანი თავის საუკეთესო სამოსში გამოწყობილი ელოდა. ქალი მატეთი ხელში სახლში შედიოდა და გამოდიდა. კრისტიანმა ედუარდს უთხრა:

– ფარიებთან დროის სატარებლად მივდივარ. შენ თუ გინდა, ხულიანა აგერ არის და იხმარე.

მბრძანებლური და თავაზიანი ხმა ჰქონდა. ედუარდო კარგა ხანს გაოგნებული შესცქეროდა, არ იცოდა რა ექნა. კრისტიანი წამოდგა, ედუარდოს დაემშვიდობა, ხულიანას არა – ვითომ უსულო საგანი იყო – ცხენს მოაჯდა და აუჩქარებლად, ჩორთით წავიდა.

იმ ღამიდან მოყოლებული, ქალს იზიარებდნენ. არავინ იცის იმ ბინძური ერთიანობის წვრილმანები, რომელიც იქაურ მკვიდრთა ღირსებას შეურაცხყოფდა. რამდენიმე კვირა ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გასტანდა. ძმები ხულიანას სახელს არ წარმოთქვამდნენ, დასაძახებლადაც კი, მაგრამ ეძებდნენ და პოულობდნენ მიზეზს უთანხმოებისთვის. კამათობდნენ ტყავის გაყიდვაზე, მაგრამ რაზეც დავობდნენ, სულ სხვა რამ იყო. კრისტიანი ხმას იმაღლებდა და ედუარდო ჩუმდებოდა. ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. მკაცრ, მიყრუებულ გარეუბანში მამაკაცი არ იტყოდა, არც ითქმოდა, რომ სურვილისა და დაუფლების გარდა, ქალი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს,

მაგრამ ორივენი შეეყვარებულები იყვნენ. ეს რალაცნაირად მათ ღირსებას ლახავდა.

ერთ საღამოს ლომას მოედანზე ედუარდო ხუან იბერ-ას გადაეყარა. ხუანმა ლამაზმანის მისაკუთრება მიულოცა. ვგონებ, სწორედ მაშინ გადაწყვიტა მისთვის შავი დღე ეყარა. ედუარდოს თანდასწრებით კრისტიანს მასხრად ვერავინ აიგდებდა.

ქალი ორივე მამაკაცს პირუტყვის მორჩილებით ემსახურებოდა, მაგრამ უპირატესობას უმცროსს ანიჭებდა. ედუარდო მენილეობას არ გაუბოდა, თუმცა თამაშის წესები თავად არ დაუდგენია.

ერთ დღეს ძმებმა ხულიანას უბრძანეს, სკამები წინა პატარაში გაეტანა და თავად არ გამოჩენილიყო, რადგან სალაპარაკო ჰქონდათ. იფიქრა, საუბარი დიდხანს გაგრძელდებაო და სიესტისთვის წამოწვა, მაგრამ ცოტა ხანში გაიხსენეს. ყველაფერი, რაც ებადა, ჩანთაში ჩაანყობინეს. არც შუშის კრიალოსანი დაივიწყეს და არც დედამისის დატოვებული პატარა ჯვარი. ახსნა-განმარტების გარეშე საზიდარზე დასვეს და სამივე მდუმარე და ნალვლიან გზას დაადგა. ნანვიმარი იყო. გზები – გაუვალი. ღამის სამი საათისთვის მორონს მიადგნენ. იქ საროსკიპოს მეპატრონეს მიჰყიდეს. შეთანხმება მიღწეული იყო: კრისტიანმა ფული აიღო და ორად გაყო.

ტურდერაში, იქამდე საშინელი სიყვარულის ხლართში გაბმულმა ნილსენებმა (რომელიც რუტინადაც კი ექცათ) მოინდომეს ძველ, მამაკაცურ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. დაუბრუნდნენ თაღლითობას, ქიშპობას, შემთხვევით არში-

ყობას. ხანდახან სჯეროდათ, რომ თავი დაიხსნეს, მაგრამ თითოეული ხშირად მიზეზით თუ უმიზეზოდ გაუჩინარდებოდა ხოლმე. წლის ბოლოს უმცროსმა თქვა, დედაქალაქში უნდა წავიდეთ. კრისტიანი მორონში გაემგზავრა, ვიცით, რომ სახლის წინ, ლობზე ედუარდოს ზერდაგი იცნო. შევიდა, მეორე შიგნით იყო, თავის რიგს ელოდა. როგორც ჩანს, კრისტიანმა უთხრა:

– თუ ასე გავაგრძელებთ, ბედაურებს გადავლლით. სჯობს, ჩვენთან იყო.

კრისტიანი საროსკიპოს პატრონს დაელაპარაკა, ტყავის ქამრიდან ფული ამოიღო და წამოიყვანეს. ხულიანა კრისტიანთან ერთად მიდიოდა, ედუარდომ ცხენს დეზები შემოჰკრა, მათთვის რომ არ შეეხედა.

ზემოხსენებულს დაუბრუნდნენ. ყალბი გადაწყვეტილება კრახით დასრულდა. ორივემ დათმო ცდუნების წინაშე. კაენი იქვე ახლოს იყო, მაგრამ ნილსენებს ერთმანეთთან დიდი სიყვარული აკავშირებდათ – ვინ იცის, ერთად რამდენი სისასტიკე და საფრთხე გამოუვლიათ. გადაწყვიტეს თავისი ჯავრი სხვებზე ამოეყარათ: უცხოზე, ძაღლებზე, განხეთქილების შემომტან ხულიანაზე.

მარტის თვე ილეოდა, მაგრამ მზე არ ცხრებოდა. კვირა დღეს (კვირა დღეს ხალხი შინ ადრიანად ბრუნდება) ფარდულიდან დაბრუნებულმა ედუარდომ დაინახა, რომ კრისტიანი ხარებს საზიდარში აბამდა. კრისტიანმა თქვა:

– წამოდი, ტყავი უნდა დავტოვოთ პარდოში, უკვე დავტვირთე. სანამ გრილა, მანამდე გავიდეთ.

პარდოს სავაჭრო ფარდული, თუ არ ვცდები, სამხრეთისკენ იყო. ლას ტროპას გზას დაადგნენ, შემდეგ გადაუხვიეს. ღამით ველი უფრო ფართოდ იშლებოდა.

ნანვერალის კიდეს მიადგნენ. კრისტიანმა ანთებული სიგარეტი გადააგდო და აუჩქარებლად თქვა:

– იმუშავე, ძმაო. შემდეგ სვავები წამოგვეშველებიან. დღეს მოვკალი. აქ დარჩეს თავის ჭინჭებით. დღეიდან ველარაფერს გვავნებს.

ერთმანეთს მოეხვივნენ ლამის ატირებულები. ახლა მათ სხვა სიმი კრავდათ: ნაღვლიანად შეწირული ქალი და მისი დავინყების ვალდებულება.